ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს

ქალაქ თბილისის ე. ნინოშვილის 71 მცხოვრებთა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენთვის ცნობილია, რომ ნინოშვილის N69-ში (საკადასტრო კოდი 01.16.01.003.022), ყოფილი კალინინის სახელობის ქარხნის ტერიტორიაზე, სს „შოდი“ საცხოვრებელი კორპუსების აშენებას გეგმავს. სამწუხაროდ, წარმოდგენილი პროექტი არქიტექტურული და სოციალური ეგოიზმის ტიპიური ნიმუშია და საერთოდ არაფრად აგდებს მომიჯნავე ნინოშვილის 71-ის მაცხოვრებელთა ელემენტარულ ინტერესებსაც კი. საქმე ისაა, რომ არსებული სახით პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ნინოშვილის 71-ში მდებარე ავარიული სახლის მაცხოვრებლები (თუკი მშენებლობის პროცესს ფიზიკურად გადავურჩით) სამი კორპუსით გარემოცულ ჩიხში მოვექცევით, რითაც საბოლოოდ დასამარდება საბინაო პირობების გაუმჯობესების ყოველგვარი პერსპექტივა. პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ ცალკე აღებულ ამ სივრცეში (ნინოშვილის 71) ოდესმე რაიმე აშენდეს. იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ თამარ მეფის გამზირი, უბანი და მთლიანად დედაქალაქი საბოლოოდ დარჩება „დამშვენებული“ ამ ნახევრად დანგრეული, ყოვლად უსახური, საუკუნოვანი ეზოთი, რომელსაც არავითარი ისტორიული და კულტურული ღირებულება არ გააჩნია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაგვეხმაროთ პრობლემის მშვიდობიანად, ცივილიზებულად გადაწყვეტაში და მოსალოდნელი კონფლიქტის თავიდან აცილებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეზოს მაცხოვრებლები მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ფორმებს.

ნინოშვილის 71 მაცხოვრებლები

1) თამარი ჯახია 62002001682
2) ალა გუჯიძე 01030049663
3) ქეთევან [illegible] 01030043767
4) გზირ ყანწიძე 01030035910
5) გიორგი გვასალია 01030048618
6) [illegible] 62001005229
7) ირინა ახალაძე – 01026010832